



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 ივლისი 2025



N 357/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „ხუმპრერი ჰესის“ მდ. ხუმფრერზე, 6,76 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 1“ და 25,94 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 2“ ჰესების კასკადის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ხუმპრერი ჰესის“ (ს/კ 404626534) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 6 მარტს (წერილი N2055) წარმოდგენილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ხუმფრერზე, 6,76 მგვტ. სიმძლავრის ხუმფრერი 1 და 25,94 მგვტ. სიმძლავრის ხუმფრერი 2 ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N124/ს 12.03.2025), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფის“ მიერ.

2024 წლის 29 მარტს შპს „ხუმპრერი ჰესის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „ხუმპრერი ჰესის“ მდ. ხუმფრერზე, 6,76 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 1“ და 26,37 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 2“ ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N34; ბრძანება N298/ს 11.06.2024).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (N 21/5088; 29/05/2025), შპს „ხუმპრერი ჰესის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (N5646; 06.06.2025), კერძოდ: წარმოდგენილ იქნა მდინარე ხუმფრერის სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯები, თევზსავალის ზვავისგან დაცვის შესახებ ინფორმაცია, მილსადენის ტრასაზე ფერდობის მაღალი მოჭრის უბნის გეოლოგიური მდგრადობის პირობების და ჰორიზონტალური ბერმების მოწყობის საჭიროების საკითხი, სადაწნეო მილსადენის (მაღალი დაფერდობის) უკუყრილის ვაკისის მდგრადობის შესახებ ინფორმაცია, ეკოლოგიური ხარჯის გატარების შესახებ ინფორმაცია, თევზამრიდი კონსტრუქციის შესახებ ინფორმაცია, ზდჩ-ის ნორმების პროექტი და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიზის და სოფ. შდიხირის მიმდებარედ მდ. ხუმფრერზე, დაგეგმილია ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, სადერივაციო-სადაწნეო ტიპის 6,76 მგვტ. სიმძლავრის ხუმფრერი 1 და 25,94 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 2“ ჰესების კასკადის მშენებლობა და ექსპლუატაციას. საპროექტო ხუმფრერი 1 და 2 ჰესების კასკადის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სათავე ნაგებობა მდ. ხუმფრერზე; ხუმფრერი 1 ჰესის სადაწნეო მილსადენი; ხუმფრერი 1 ჰესის შენობა; სადაწნეო აუზი; ხუმფრერი 2 ჰესის სადერივაციო მილსადენი; ხუმფრერი 2 ჰესის სატრანსპორტო-სადერივაციო გვირაბი; ხუმფრერი 2 ჰესის გამთანებრებელი რეზერვუარი; ხუმფრერი 2 ჰესის სატურბინო (სადაწნეო) მილსადენი; ხუმფრერი 2 ჰესის შენობა. ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ხუმფრერი 1 ჰესის სათავე ნაგებობა 4.2 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული უახლოესი დასახლებული პუნქტიდან. ხუმფრერი 2 ჰესის შენობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 550 მ-ის დაშორებით. სამშენებლო ბანაკი 1-დან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 185 მ-ს დაშორებით, სამშენებლო ბანაკი 2-დან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 4 კმ-ზე მეტი მანძილით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ჰესის შემადგენლობაში შემავალი ობიექტების განთავსება დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილ დროებით და დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილები წარმოადგენს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რომელზეც ასევე, მოხდება კომპანიის მიერ შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების გაფორმება ან შესყიდვა კერძო მესაკუთრეებისგან და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსგან“.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალმიმღები ნაგებობიდან ხუმფრერი 1 ჰესის შენობამდე წყლის მიწოდება მოხდება სადერივაციო-სადაწნეო მილსადენით, ხოლო შემდგომ ხუმფრერი 1 ჰესის სააგრეგატე კვანძიდან გადამუშავებული წყლის ხარჯი სადაწნეო აუზის გავლით მოხდება ხუმფრერი 2 ჰესის სატრანსპორტო-სადერივაციო გვირაბში განთავსებულ გალერეაში და სატურბინო (სადაწნეო) მილსადენით დაუერთდება ხუმფრერი 2 ჰესის სააგრეგატე შენობას. ჰესების საანგარიშო წყლის ხარჯია 10 მ³/წმ, ეკოლოგიური ხარჯი - 0.59 მ³/წმ. ხუმფრერი 1 ჰესის ელექტროენერგიის პროგნოზული გამომუშავება მდინარის წყლის 90%-იან უზრუნველყოფაზე შეადგენს 16,826 მლნ.კვტ.სთ, ხოლო ხუმფრერი 2 ჰესის პროგნოზული გამომუშავება შეადგენს 66,988 მლნ.კვტ.სთ-ს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხუმფრერი 1 ჰესის სათავე ნაგებობა განთავსდება სოფ. ირის მიმდებარედ (GPS კოორდინატები: X – 288375, Y - 4764670). საპროექტო დასაშლელი კაშხლის სამშენებლო სიმაღლე შეადგენს 12.3 მეტრს, სიგრძე 42.8 მეტრს, ხოლო სიგანე 10 მეტრს. კაშხლის ნორმალური შეტბორვის ნიშნული 1289 მეტრია. დასაშლელი კაშხალი აღჭურვილი იქნება 6 ცალი ბრტყელი ფარით თითოეული ზომით 6X4 მეტრი. მდინარის მარცხენა ნაპირზე მოეწყობა წყალმიმღები და სალექარი. კაშხლის ზედა ბიეფში შეტბორილი წყლის მოცულობა იქნება 12 806 მ³, ხოლო ზედაპირის ფართობი 2 941 მ². კაშხლის ზედა კბილი გრუნტში ჩაღრმავებული იქნება 4.0 მეტრით, ხოლო ქვედა კბილი 2.0 მეტრით. კაშხლის თავზე მოეწყობა რკინა-ბეტონის ხიდი, რომლის ზედაპირის ნიშნულია 1292.4 მეტრი. დასაშლელი-ფარებიანი კაშხალი უზრუნველყოფს 200 წლიანი (423 მ³/წმ), კატასტროფული წყლის ხარჯის გატარებას კაშხლის 6 ცალი ფარის გაღებით. ფარების რეგულირება-აწევით და მათი თანდათანობითი გახსნით გატარდება ნებისმიერი, ტივტივა და ფსკერული ნატანი. წყალმიმღები გაანგარიშებულია საპროექტო წყლის ხარჯის აღებაზე, რომელიც შეადგენს 10 მ³/წმ-ს. წყალმიმღებისა და ავანკამერის ჯამური სიგრძე იქნება 17.55 მეტრი. ავანკამერის მარჯვენა კედელზე მოეწყობა ზედმეტი წყლის გადასადვრელი ლიობი. ავანკამერის ბოლოში სალექარის თითოეული კამერისათვის ცალ-ცალკე მოეწყობა ბრტყელი საკეტები, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ერთი რომელიმე კამერის ჰიდრავლიკურად გარეცხვის დროს შეუფერხებლად იმუშაოს მეორე კამერამ. სალექარის კამერების სიგრძე შეადგენს 59 მეტრს, ხოლო თითოეული კამერის სიგანეა 4.90 მეტრი, სიმაღლე - 5 მ. შესასვლელი და გარდამავალი უბნის ჩათვლით სალექარის მთლიანი სიგრძე შეადგენს 66 მეტრს. სალექარი თავისი გეომეტრიული ზომებით

უზრუნველყოფს 0.3 მმ-ზე მეტი ზომის ფსკერული ნატანის ნაწილაკების დალექვას. სალექარის ბოლოში მოეწყობა ფსკერული გამრეცხი გალერები თითო ცალი თითო კამერისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეკოლოგიური ხარჯის სრულ მოცულობამდე გასატარებლად, პროექტით გათვალისწინებული იქნა წყალგამშვები მილის მოწყობა დიამეტრით 200 მმ, რომელიც განთავსდება ნორმალური შეტბორვის ნიშნულიდან 3 მეტრის სიღრმეზე უკიდურეს მარჯვენა ბურჯში. აღნიშნული მილი მუდმივად გაატარებს 0.45 მ³/წმ წყლის ხარჯს ხოლო, ეკოლოგიური ხარჯის დარჩენილი ნაწილი გატარდება მუდმივად თევზსავალის საშუალებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეკოლოგიური წყლის ხარჯის 0.59 მ³/წმ მუდმივად გატარება სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში.

ანგარიშის თანახმად, კაშხლის ღერძის სიახლოვეს მარცხენა ფერდობზე ფიქსირდება საშუალო სიმძლავრის მეწყრული სხეული. სათავე ნაგებობის კონსტრუქციები ზემოაღნიშნული მეწყერის ზონაში არ ხვდება, ხოლო შეტბორვის არეალში მეწყერის ძირის გამაგრება მოხდება 57 მ სიგრძის გაბიონის კედლით. კაშხლის ღერძის მიმდებარედ, მარჯვენა ფერდობზე მცირე ზომის გვერდითი ხევია ჩამოყალიბებული, რომელიც ფერდობის ძირში ქმნის მცირე ზომის გამოზიდვის კონუსს, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გვერდითი ხევი არ ემთხვევა კაშხლის ღერძს, თუმცა აღნიშნულ ხევში წარმოქმნილ ზვავის მცირე ნაწილმა შესაძლოა მიაღწიოს თევზსავალის ბოლო ნაწილში, აღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილია თევზსავალის ბოლო ნაწილის რკინა-ბეტონის ფილით გადახურვა.

სალექარიდან ხუმფრერი 1 ჰესს წყალი მიეწოდება სადაწნეო ფოლადის მილსადენით, სიგრძით 1950 მეტრი, დიამეტრი 2020 მმ (კედლის სისქე 10 მმ). მილსადენი მოეწყობა არსებული, მისასვლელი გზის გასწვრივ, ფერდობის ძირში მოწყობილ ტრანშეაში. მილსადენის დაახლოებით 500 მეტრიანი მონაკვეთი ხვდება ფერდობის ძირში არსებულ ჭალისზედა ტერასაზე. საპროექტო მილსადენის ღერძი კვეთს მცირე ზომის გვერდით ხევებს და პატარა ღელეს. ხევების გადაკვეთაზე გათვალისწინებულია ნაკადგამტარი რკინაბეტონის კონსტრუქციების მოწყობა, ხოლო ღელის გადაკვეთის მონაკვეთზე მილსადენი მოექცევა რკინაბეტონის გარსაცმში. მდინარის მიერ ეროზიული პროცესებით გამოწვეული მეწყრული მოვლენების შესამცირებლად დაგეგმილია მილსადენის დერეფანში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. მილსადენის დერეფანში დაფიქსირებულ გრუნტის წყლის გამოსავლების მონაკვეთებზე მოეწყობა სადრენაჟე არხები. ხუმფრერი 1 ჰესის შენობაში შესვლამდე სადაწნეო მილსადენი იყოფა ორ ნაწილად, რომელთა მეშვეობით წყალი მიეწოდება ჰესის შენობაში დამონტაჟებულ ჰორიზონტალურღერძიან ორ ფრენისის ტიპის ტურბინას.

ხუმფრერი 1 ჰესის შენობის განთავსება იგეგმება მდ. ხუმფრერის ხეობის მარცხენა ფერდობის ძირში (X - 286578.89; Y - 4765207.69), ზღვის დონიდან დაახლოებით 1204 მეტრის სიმაღლეზე. შენობა წარმოადგენს კარკასული ტიპის კონსტრუქციას. ჰესის შენობის გარე კონტურის ზომებია 36 x 12.5 x 16 მ, სადაც განთავსებული იქნება ორი 1.36 და 5.40 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტიპის ტურბინა, მართვის კარადები, მართვის პულტის სათავსო, საყოფაცხოვრებო ოთახები და საწყობი. ხუმფრერი 1 ჰესის შენობიდან გამოსული ნამუშევარი წყალი მიეწოდება ხუმფრერი 2 ჰესს. შესაბამისად ხუმფრერი 2 ჰესისთვის ახალი სათავე ნაგებობის, სალექარის და წყალმიმღების მოწყობა არ არის გათვალისწინებული. ხუმფრერი 2 ჰესი გაჩერების შემთხვევაში, ხუმფრერი 1 ჰესიდან ნამუშევარი წყალი არხის საშუალებით ჩაშვებული იქნება მდ. ხუმფრერში.

ხუმფრერი 2 ჰესის წყალმომარაგება როგორც აღინიშნა გათვალისწინებულია ხუმფრერი 1 ჰესის შენობიდან გამოსული წყლით, რომელიც დაგროვდება ჰესის გამყვანი არხის ბოლოში მიერთებულ სადაწნეო აუზში. სადაწნეო აუზიდან გამოსული სადერივაციო მილსადენი (დიამეტრით 2020 მმ) საპროექტო ხიდიტ გადავა მდ. ხუმფრერის მარჯვენა ნაპირზე და სადერივაციო-სატრანსპორტო გვირაბის შესასვლელთან შეუერთდება მცირე დაწნევიან რკინაბეტონის დახურულ გალერეას (შიდა გაბარიტული ზომები: სიგანე 1.5 მეტრი და სიმაღლე 2.5 მეტრი). სატრანსპორტო-სადერივაციო გვირაბში განთავსებული მცირედაწნევიანი გალერეის ბოლოში, სანამ დაიწყება სატურბინო მილსადენი, მოეწყობა ე.წ.

განმთანაბრებელი რეზერვუარი, რომელიც ასრულებს განმთანაბრებელი რეზერვუარის, საჰაერო შახტის და სადაწნეო აუზის როლს. განმთანაბრებელი რეზერვუარის სრული სიგრძე იქნება 19.71 მ, სიმაღლე 14.5 მ, ხოლო დიამეტრი 4 მ. განმთანაბრებელი რეზერვუარიდან გამოსული წყალი, სადაწნეო (სატურბინო) მილსადენის მეშვეობით, რომლის დიამეტრი იქნება 1820 მმ, ხოლო სიგრძე 610 მეტრი, მიეწოდება ხუმფრერი 2 ჰესის შენობაში დამონტაჟებულ, ვერტიკალურღერძიან, 12.97 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტიპის ორ ტურბინას. პელტონის ტურბინის ავარიული დაკეტვის დროს, სატურბინო მილსადენს ბოლო ნაწილში ექნება მილსადენის განშტოება, რომელიც აღჭურვილი იქნება დისკური საკეტით და მისი ბოლო შეუერთდება გამყვან არხს.

საპროექტო ხუმფრერი 2 ჰესის შენობა განთავსდება მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, მდ. ხუმფრერის შესართავიდან ზემოთ დაახლოებით 1000 მეტრის მანძილზე (GPS კოორდინატები: X – 285588.64; Y – 4768607.67). ჰესის შენობასთან მისასვლელად, არსებული ხიდიდან 300 მეტრში მდ. ენგურზე განთავსდება ახალი ხიდი სიგრძით 34 მეტრი. ჰესის შენობის გაბარიტული ზომები იქნება 47.9 x 16.8 x 18 მეტრი. ჰესის შენობაში განთავსებული ორი პელტონის ტიპის ტურბინა-გენერატორის დადგმული სიმძლავრე იქნება 25.94 მგვტ. ხუმფრერი 2 ჰესის შენობის ზონაში მდ. ენგურის მარცხენა ნაპირი გამაგრდება ნაპირდამცავი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლით, რომელიც უზრუნველყოფს 500 წლიანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯზე მეტი ხარჯის გატარებას. ხუმფრერი 2 ჰესის შენობიდან გამოსული წყალი ჩაეშვება მდ. ენგურში.

სათავე ნაგებობაზე მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაგეგმილია 24 საფეხურიანი თევზსავალის მოწყობა. თითოეული საფეხურის სიმაღლე იქნება 28 სმ. თევზსავალის მთლიანი სიგრძე 35 მეტრია. ჯამური ვარდნა 6.44 მეტრი. თევზსავალში გასატარებელი წყლის მინიმალური ხარჯი იქნება 0.14 მ³/წმ. სალექარის ბოლო ნაწილში გათვალისწინებულია თევზამრიდის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს ჰაერის ნაკადისგან შექმნილ ბუშტუკების ფარდას, რაც ქმნის ბარიერს თევზის გადაადგილებისთვის.

სატრანსპორტო-სადერივაციო გვირაბის სიგრძე იქნება 2975 მეტრი, სიმაღლე და სიგანე 6.5 მეტრი, ხოლო სადერივაციო გალერეის გვერდით დარჩენილი ავტომობილის სამოძრაო სიგანე 4.5 მ. გვირაბის გაყვანა მოხდება ბურღვა-აფეთქების მეთოდით. აფეთქების სამუშაოების შესასრულებლად დაცული იქნება ყველა უსაფრთხოების ზომები. ყოველი დაგეგმილი აფეთქების დროის შესახებ წინასწარ იქნება გაფრთხილებული ყველა მშენებლობაზე დასაქმებული პირი, მოსახლეობა და არსებულ გზაზე მოძრავი ადამიანი. ასაფეთქებელი ნივთიერების დასაწყობება მოხდება სპეციალურად გამოყოფილ შემოღობილ ადგილებში, სადაც ასევე იქნება დაცვის თანამშრომელი. ორივე პორტალიდან დღე-ღამეში განხორციელდება ორ-ორი აფეთქება. დაგეგმილი აფეთქების წარმოების დროს ამ ადგილების სიახლოვეს შეზღუდული იქნება სხვა მიმდინარე სამუშაოები. გვირაბის ექსპლუატაციის პერიოდში მოხდება მისი პერიოდული მონიტორინგი კვალიფიციური გეოლოგის მონაწილეობით. რა დროსაც მოხდება გვირაბის პორტალებთან ფერდობის მდგრადობის შემოწმება, ხოლო გვირაბის შიგნით მოხდება გვირაბის შიდა ზედაპირის მდგომარეობის შეფასება, მოსალოდნელი გეოლოგიური პროცესების იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში პრევენცია.

მდ. ხუმფრერის წყალდიდობის პერიოდში, ღვარცოფული და ეროზიული პროცესებისგან მილსადენის, ხუმფრერი 1 ჰესის შენობის, ღია საწყობის და მისასვლელი გზის დასაცავად დერეფნის სენსიტიურ მონაკვეთებზე დაგეგმილია დამცავი კედლის და ნაპირდამცავი ნაგებობების (რიპ-რაპი) მოწყობა. ანგარიშის თანახმად, ნაპირდამცავი ნაგებობები მოეწყობა მდ. ხუმფრერის კატასტროფული ხარჯის გავლის შემთხვევაში დამყარებული დონეების და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმის გათვალისწინებით. ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა გათვალისწინებულია რამდენიმე ადგილას, კერძოდ: რკინაბეტონის დამცავი კედელი სათავე ნაგებობასთან (150 მეტრი); ქვაყრილის ნაპირდამცავი კონსტრუქცია ფართობით - 1317.71 მ² (Shp ფაილების მიხედვით სიგრძე 115 მ) ხუმფრერი 1 ჰესის სადაწნეო მილსადენთან; ქვაყრილის ნაპირდამცავი კონსტრუქცია 145 მეტრი (ფართობით - 514.71 მ²) ჰესი 1-ის სადერივაციო-სადაწნეო მილსადენთან; ქვაყრილის ნაპირდამცავი კონსტრუქცია ფართობით - 761.72 მ² (Shp ფაილების მიხედვით სიგრძე 158 მ) ჰესი 1-ის სადერივაციო-სადაწნეო მილსადენთან; რ/ბეტონის

დამცავი კედელი ხუმფრერი 1 ჰესის ძალოვან კვანძთან 66.6 მეტრი; ქვაყრილის ნაპირდამცავი კონსტრუქცია, ფართობით - 242.23 მ² (Shp ფაილების მიხედვით სიგრძე 47 მ) ხუმფრერი 1 ჰესის სადაწნო მილსადენთან; რკინა ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა 67 მეტრი სიგრძის ჰესი 2-ის ძალოვან კვანძთან; ასევე, პროექტით გათვალისწინებულ ღია საწყობთან მოეწყობა ნაპირდამცავი ნაგებობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მდინარე ხუმფრერის საშუალო წლიური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად საპროექტო კვეთში, გამოყენებულია ანალოგის მეთოდი. ანალოგად აღებულია მდ. ხუმფრერი - ჰ/ს შესართავთან დაკვირვების მონაცემები, რომელიც მოიცავს დაკვირვების 14 წლიან (1957_70 წწ) პერიოდს. ვინაიდან დაკვირვების 14 წლიანი პერიოდი მცირეა მდინარის საშუალო წლიური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად. მდ. ხუმფრერის მონაცემების აღდგენა და დაგრძელება მოხდა მდ. ხაიშურას (თხეიშის) მონაცემებთან კორელაციური კავშირის დამყარებით 26 წლიან რიგამდე. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია საპროექტო კვეთში მდ. ხუმფრერის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის საშუალო წლიური ხარჯების და მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები, სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მინიმალური ხარჯების სიდიდეები, საპროექტო კვეთებში მდ. ხუმფრერის საანგარიშო უზრუნველყოფის (10%, 50%, 75%, 90% და 95%), საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილებისა და მდინარის ეკოლოგიური ხარჯის სიდიდის (0.59 მ³/წმ) შესახებ ინფორმაცია, რაც გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტოლია წყალაღების კვეთში მდ. ხუმფრერის საშუალო მრავალწლიური ხარჯის (5.9 მ³/წმ) 10%-ის. ასევე წარმოდგენილია ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯები მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის დატოვების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური და გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია რომლის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გამოიყო გრუნტების და კლდოვანი ქანების 10 განსხვავებული შედგენილობისა და თვისებების მქონე ფენა, საიდანაც 4 არის კლდოვანი, ხოლო 6 არაკლდოვანი გრუნტი: ფენა 1 - ტექნოგენური გრუნტი (MG); ფენა 2 - ალუვიური (al); ფენა 3 - ალუვიური (ტერასა - T1); ფენა 4 - კოლუვიური (SC); ფენა 5 - კოლუვიური-დელუვიური (cd); ფენა 6 - პროლუვიური (Gd); ფენა 7 - ფილიტიზირებული ფიქლები და ქვიშაქვები (C1228 -Tch.); ფენა 8 - ფილიტიზირებული ფიქლები და ქვიშაქვები (C11kz.); ფენა 9 - ფილიტიზირებული ფიქლები, ქვიშაქვები და გრაველიტები (D2-3kr.) და ფენა 10 - ფილიტიზირებული ფიქლები და ქვიშაქვები (S2-D1lh.). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მილსადენის განთავსების ზოლში გამოვლენილი გეოლოგიური პროცესები და მოვლენები არაერთგვაროვანია და სხვადასხვა მასშტაბისაა. აღინიშნება ეროზიული და მეწყრული მოვლენები, ასევე გარკვეულ ადგილებში მოსალოდნელია ქვათაცვენები და თოვლის ზვავები. საპროექტო დერეფანში მდინარე ხუმფრერს, ორივე მხრიდან უერთდება სხვადასხვა დებიტის მქონე გვერდითი ხევიები, რომლებიც შესართავებთან ქმნიან სხვადასხვა სიმძლავრის გამოზიდვის კონუსებს. ფერდობებზე ასევე, ცალკეულ ადგილებში მიმდინარეობს დროებითი ზედაპირული ნაკადების მიერ გამოწვეული წარეცხვები და დახრამვები. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საპროექტო ტერიტორია MSK64 სკალის შესაბამისად მიეკუთვნება 9 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ინფორმაციას საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური მოვლენებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ, ასევე ჰესების კასკადის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებს, რეკომენდაციებს და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

ანგარიშის თანახმად, ხუმფრერი 1 და 2 ჰესების მშენებლობის ვადად განსაზღვრულია 43 თვე. სამშენებლო ობიექტებს შორის მანძილის და რთული რელიეფური პირობების გათვალისწინებით, დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. პირველი მათგანი მოეწყობა ხუმფრერი 2 ჰესის შენობიდან დაახლოებით 1200 მ-ის დაშორებით (დასავლეთის მიმართულებით), ხოლო მეორე სამშენებლო ბანაკი მოეწყობა ხუმფრერი 1 ჰესის შენობასთან. მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალები: ცემენტი, არმატურა, საყალიბე მასალა შემოტანილი იქნება თბილისიდან, ხოლო ინერტული მასალები ადგილობრივი ლიცენზირებული კარიერებიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის ფარგლებში

საცხოვრებელი ბანაკების მოწყობა არ იგეგმება. მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალი საცხოვრებლად განთავსდება სოფ. დიზში და ნაკრაში. სამუშაოები იწარმოებს წელიწადში 330 დღე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესების მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება დაახლოებით 100 ადამიანი, ხოლო ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში 17 ადამიანი, რომელთა უმეტესი ნაწილი იქნება ადგილობრივი მოსახლე.

სამშენებლო ბანაკი 1-ის მოწყობა იგეგმება ზღვის დონიდან 877.5 მ-ს სიმაღლეზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (ს.კ. 42.13.33.006.012) ნაწილზე მრავალწლიანი ხე-მცენარეული და ნიადაგის ნაყოფიერი ფენისგან თავისუფალ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X – 284133, Y – 4768598; X – 284140, Y – 4768587; X – 284129, Y – 4768581; X – 284132, Y – 4768576; X – 284098, Y – 4768576; X – 284098, Y – 4768557; X – 284085, Y – 4768577). ბანაკის ფართობი იქნება 1024 მ² და განთავსდება შემდეგი ინფრასტრუქტურა: დროებითი ღობე; სანიაღვრე სისტემა; ბეტონის დამამზადებელი კვანძი (წარმადობა 25-30 მ³/სთ); ცემენტის სილოსი (2 ცალი, ჯამში 240 ტონა); ბეტონის კვანძის სალექარი 2X2X1.5 მ; ინერტული მასალების საწყობი; სამშენებლო მანქანა-მექანიზმების სადგომი მოედანი; ნავთობდამჭერი; ღია საწყობი 12X9 მ; წყლის რეზერვუარი; ბიო ტუალეტის სეპტიკი; ბიო ტუალეტი და სამი სალექარი. სამშენებლო ბანაკი 1-ზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურის ჩამონათვალში და გენ. გეგმაზე არ არის მითითებული ავტოსამრეცხაო, რომელიც განხილულია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში. ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკი ხვდება მდ. ენგურის წყალდაცვით ზოლში.

წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში მშენებლობას ან მოქმედი საწარმოების გაფართოებას და რეკონსტრუქციას (გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა), აგრეთვე, სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების შენახვა - დაგროვება, დასაწყობებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სამშენებლო ბანაკი 2-ის მოწყობა იგეგმება, ხუმფრერი 1 ჰესის შენობის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 1196 მ-ს სიმაღლეზე, რომლის ფართობი იქნება 1826.94 მ² (GPS კოორდინატები: X – 286515, Y – 4765247; X – 286556, Y – 4765235; X – 286543, Y – 4765194; X – 286503, Y – 4765206). სამშენებლო ბანაკი მდ. ხუმფრერის აქტიური კალაპოტიდან დაშორებული 25 მ-ზე მეტი მანძილით. სამშენებლო ბანაკზე განთავსდება შემდეგი ინფრასტრუქტურა: დროებითი ღობე; სანიაღვრე სისტემა; სამშენებლო მანქანა-მექანიზმების სადგომი მოედანი; ავტომობილების სამრეცხაო; ნავთობდამჭერი ნაგებობა 1.8X0.6X1 მ; საწვავის რეზერვუარი 10 ტონა ტევადობით; ღია საწყობი 12X9 მ; ბიო ტუალეტი; ბიო ტუალეტის სეპტიკი; წყლის რეზერვუარი; ფარდული; დახურული საწყობი ინვენტარული ვაგონით; საოფისე კონტეინერი; დაცვის ჯიხური; დიზელ გენერატორი და ორი სალექარი.

სამშენებლო ბანაკი 2-ს მიმდებარედ დაგეგმილია მშენებლობისთვის საჭირო მასალების ღია საწყობის მოწყობა (ფართობი 19051.62 მ²). ღია საწყობში განთავსდება სადაწნეო მილსადენისთვის საჭირო მილები, გვირაბის და მილსადენისთვის საჭირო ქვიშა და ინერტული მასალა, აგრეთვე ნაპირდამცავი კონსტრუქციებისთვის საჭირო ქვები. მოცემულ არეალში ასევე განთავსდება მშენებლობის დროს მოხსნილი ჰუმუსის ფენა.

ანგარიშის მიხედვით, მდ. ხუმფრერის ხეობაში საპროექტო ხუმფრერი 1 ჰესის სათავე ნაგებობის ტერიტორიამდე გადაადგილება შესაძლებელია სატყეო საავტომობილო გზით. ჰესების ინფრასტრუქტურის მიმდებარედ და სადაწნეო მილსადენის დერეფანში დაგეგმილია არსებული გზების რეკონსტრუქცია. „ხუმფრერი 2“ ჰესის შენობიდან სატრანსპორტო-სადერივაციო გვირაბის გამოსასვლელ პორტალამდე დაგეგმილია არსებული სატყეო გზების გაფართოება-რეკონსტრუქცია, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენს 3850 მეტრს. მდინარე ენგურზე არსებული ხიდიდან საპროექტო ხუმფრერი 1 ჰესის სათავე ნაგებობამდე მისასვლელი გზა დაახლოებით 4.8 კმ-ს შეადგენს, რომლის რეკონსტრუქცია-პროფილირება გათვალისწინებულია გვირაბიდან ექსკავირებული გრუნტის საშუალებით. ანგარიშის თანახმად ასევე გათვალისწინებულია საპროექტო ხუმფრერი 1 ჰესის შენობიდან ხუმფრერი 1 ჰესის სათავე ნაგებობამდე არსებული გზის განახლება-რეკონსტრუქცია (გზის სიგრძეა 1950 მ). პროექტი ასევე

ითვალისწინებს ხუმფრერი 2 ჰესისა და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის (შ-15 - ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი) ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით, სახიდე გადასასვლელის მშენებლობას მდ. ენგურზე (GPS კოორდინატები: X - 284910; Y- 476875), რომლის სიგრძე იქნება 34 მეტრი, აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარე ენგურის წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად გამოყენებულ იქნა მდინარე ენგურზე ჰიდროლოგიური საგუშაგო დიზის ჩანაწერები, სადაც გაზომვები მიმდინარეობდა 49 წლის განმავლობაში. აღნიშნული საგუშაგო ემთხვევა ხიდის განთავსების ადგილს. პროექტის მიხედვით დაგეგმილი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა დაგეგმილია მდინარის 200 წლიანი კატასტროფული წყლის ხარჯის (720 მ³/წმ) გატარებაზე. საპროექტო ხიდის დაფუძნება დაგეგმილია კლდოვან ქანებზე. ასევე გათვალისწინებულია, მეორე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა ხუმფრერი 1 ჰესის შენობასთან.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა უმეტესად მოხდება ხუმფრერი 2 ჰესის დერეფანში, ვინაიდან, ხუმფრერი 1 ჰესის მონაკვეთზე უმეტესად არის ალუვიური გრუნტები. ხუმფრერი 2 ჰესის მონაკვეთში ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოხდება გვირაბის გამოსასვლელ პორტალამდე მოსაწყობ მისასვლელ გზაზე და ხუმფრერი 2 ჰესის შენობის განთავსების ადგილზე (ზოგიერთ მონაკვეთში) დაახლოებით 0.05 მ სისქეზე. მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 490 მ³. მშენებლობის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება გათვალისწინებულია ხუმფრერი 1 ჰესის ძალური კვანძის მიმდებარედ 1460.6 კვ.მ ფართობზე. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 240 000 მ³ მოცულობის ფუჭი ქანი, თუმცა პროექტით დაგეგმილი არ არის ფუჭი ქანების სანაყაროების მოწყობა, ვინაიდან მშენებლობის პერიოდში წარმოქმნილი ფუჭი ქანები გამოყენებული იქნება არსებული გზების რეაბილიტაციისთვის და საქმიანი ეზოს მოსაწყობად (ტერიტორიის მოსწორება-მოშანდაკება და მდინარე ხუმფრერის წყალდიდობისგან და ეროზიული პროცესებისგან დაცვა).

გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ჰესების კასკადისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშში, წარმოდგენილია ინფორმაცია ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიის შესახებ. გზშ-ის ანგარიშში, ასევე მოიცავს ინფორმაციას სენსიტიური ჰაბიტატების და სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებებისა და სახეობების შესახებ, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული, ენდემური, რელიქტური და სხვა იშვიათი სახეობის შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფლორისტული შეფასება მოიცავდა გავლენის ზონაში არსებულ მცენარეთა იდენტიფიკაციას, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული მცენარეული სახეობების გამოვლენას და წითელი ნუსხის მიხედვით საფრთხეში მყოფი მცენარეული სახეობების დაფიქსირებას. მცენარეთა სახეობების იდენტიფიკაციასა და ნუსხების შედგენასთან ერთად, განისაზღვრა საფრთხის და ენდემურობის სტატუსები შესაბამისი სახეობებისთვის. კვლევის შედეგების მიხედვით, მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მცენარეული სახეობებიდან ფიქსირდება საქართველოს წითელი ნუსხის 3 სახეობა: ურთხელი (*Taxus baccata*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*) და ჩვეულებრივი კაკლის ხე (*Juglans regia*). აღნიშნული მცენარეული თანასაზოგადოებები და ლანდშაფტები ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით, გამოიყო 8 ჰაბიტატი. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მცენარეთა კონკრეტული სახეობების შესახებ, მათი გავრცელების კოორდინატების მითითებით. ასევე, წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მცენარეულ საფარსა და ჰაბიტატის მთლიანობაზე

ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. კანონმდებლობის შესაბამისად გატარდება ხე-მცენარეულ საფარზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებები და სხვა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ფაუნის შესახებ, კონკრეტული სახეობებისა და მათი გავრცელების კოორდინატების მითითებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფაუნის კვლევის მიზანი იყო საპროექტო ტერიტორიაზე ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების და ხმელეთის უხერხემლოების სახეობრივი მრავალფეროვნების დადგენა, შესაძლო შემაწუხებელი ფაქტორების და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა. საპროექტო ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ძუძუმწოვრებიდან დაფიქსირდა: ევრაზიული წავი (*Lutra lutra*), მურა დათვი (*Ursus arctos*), რუხი მგელი (*Canis lupus*), ტყის კვერნა (*Martes martes*), კავკასიური ტყის თაგვი (*Apodemus witherbyi*) და ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*). გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: მდინარის სიახლოვეს ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების პერიოდი შეძლებისდაგვარად შეირჩევა ისე, რომ არ დაემთხვეს წავის გამრავლების პერიოდს; ორმოები, თხრილები და სხვა შემოზღუდული იქნება რაიმე წინააღმდეგობით ცხოველების შიგ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჩატარდა იქთიოლოგიური სავსე კვლევითი სამუშაოები, რომელიც განხორციელდა საპროექტო ხუმფრერი ჰესების კასკადის, კერძოდ, ხუმფრერი 1 ჰესის სათავე ნაგებობიდან და მდ. ხუმფრერის მდ. ენგურის შესართავამდე. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოცემულ მონაკვეთზე კალაპოტის სამი ძირითადი ბიოტოპი არსებობს: ლოდნარია, დატოტვილი და ქვებით/ხრებით დაფარული თხელი მონაკვეთები. ანგარიშის თანახმად, თითოეულ საკვლევ წერტილზე (ჯამში 7 ლოკაცია) შესწავლილი იქნა მდ. ხუმფრერის 100 - 200 მეტრამდე სიგრძის მონაკვეთი და მისი შენაკადები. კვლევა მიმდინარეობდა ორ დღეს, მთელი დღის განმავლობაში. კვლევის დროს საპროექტო ტერიტორიაზე თევზი არ დაფიქსირებულა, რაც ანგარიშის თანახმად გასულ წლებში მდინარის ხეობაში მომხდარი ღვარცოფული პროცესის შედეგია, თუმცა მდ. ენგურიდან იშვიათად მაინც შემოდის ნაკადულის კალმახი. ამასთან ადგილობრივი მეთევზეების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მდინარე ხუმფრერში ბინადრობს ნაკადულის კალმახი - *Salmo labrax*. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წყალღების წერტილის ქვემოთ დაფიქსირებულია 3 მ-მდე სიმაღლის ჩანჩქერი, რომელიც წარმოქმნილია მდინარის წყალუხვობის პერიოდში მდინარის კალაპოტში დიდი ზომის ლოდების დაგროვებით, რაც ქმნის დროებით, მექანიკურ დაბრკოლებას თევზების მიგრაციისთვის. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე მოხდება აღნიშნული მონაკვეთის გაწმენდა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს თევზების თავისუფალ გადაადგილებას. გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია იქთიოფაუნაზე ზემოქმედება ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში. წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, მათ შორის: მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოების პროცესში მიღებული უნდა იყოს შესაბამისი ღონისძიებები, რომ არ მოხდეს მდინარის კალაპოტის მნიშვნელოვანი დაზიანება, რაც გააუარესებს იქ არსებულ ეკოლოგიურ პირობებს და თევზების საბინადრო არეალს, სათავე ნაგებობიდან ქვედა დინებაში მუდმივად იქნება გაშვებული დადგენილი ეკოლოგიური ხარჯი, თევზის დაზიანების (დაღუპვის) რისკის მინიმიზაციის მიზნით წყალმიმღებზე დამონტაჟდება თევზამრიდი და სხვა. ამასთან იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით მნიშვნელოვანი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიება იქნება, მდინარე ხუმფრერის დათევზიანება, მშენებლობის დასრულების შემდგომ პერიოდში, შემდგომი კვლევა და მონიტორინგი, ხუმფრერი 1 და 2 ჰესების კასკადის ოპერირების დაწყებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი და მონიტორინგის ფარგლებში კონტროლი, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს ეკოლოგიური ხარჯის პირობებში წყლის ნაკადის უწყვეტობის შენარჩუნებას.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი 169433 კვ.მ. ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 163729 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, მესტიის სატყეო უბნის ლახამულის სატყეოს კვარტალი N50;59;61;62;63;64 და ჯორჯვალის სატყეოს კვარტალი N 21;23;39. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო არეალში ტაქსაციის ფარგლებში აღრიცხული იქნა 1387 ხე, ჯამური მოცულობით 714.8 მ3. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საპროექტო არეალი მოიცავს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით სპეციალური ტყითარგებლობის უფლების მოპოვება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რისთვისაც მომზადებულია „ტყითარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული პერსონალის სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოხდება მზა ბუტილირებული სახით. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე დაგეგმილია სეპტიკური ორმოს მოწყობა ბიოტუალეტისთვის. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გატანა მოხდება პერიოდულად, საასენიზაციო მანქანის საშუალებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სამშენებლო ბანაკი 1-ის ტერიტორიაზე საპროექტო ბეტონის კვანძში, გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება თვეში - 300-350 მ³, რისთვისაც წყალმომარაგება მოხდება მდ. ენგურიდან ელექტრო ტუმბოს საშუალებით (წყალაღების GPS კოორდინატია: Y - 4768542.91; X - 284129.24), სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია 20 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა. სამშენებლო ბანაკი 1-ის ტერიტორიაზე დაგეგმილია სამი სალექარის მოწყობა: №1 სალექარში (2მx2მx1.5მ) ბეტონის კვანძის ტერიტორიაზე მიქსერების რეცხვისას წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი გაიწმინდება; №2 სალექარი (3.9მx0.60მx1.0მ) მოემსახურება ავტოსადგომზე წარმოქმნილ სანიაღვრე წყლებს, რომელიც შეიკრიბება და ჩაეშვება ჯერ ნავდობდამჭერ ნაგებობაში (1.25მx0.55მx1მ), ხოლო შემდგომ გაივლის №2 სალექარს; №3 ორკამერიან სალექარში (2.0მx2.5მx1.5მ.) შეიკრიბება და გაიწმინდება ბანაკის ტერიტორიაზე (ავტოსადგომის გარდა) მოსული ატმოსფერული ნალექები. სამივე სალექარიდან გამოსული გაწმენდილი წყალი შეიკრიბება ბეტონის არხის მეშვეობით და ჩაშვებული იქნება ჯერ ღელეში და შემდეგ მდ. ენგურში, რომლის GPS კოორდინატია: X - 284083.48; Y - 4768553.72. ბანაკი 1-ის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჯამური რაოდენობაა 392,78 მ³/წელ.

სამშენებლო ბანაკი 2-ის ტერიტორიაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება თვეში - 80-100 მ³, რისთვისაც წყალმომარაგება მოხდება მდ. ხუმფრერიდან ელექტრო ტუმბოს საშუალებით (წყალაღების GPS კოორდინატია: Y - 4765260.58; X - 286557.66), სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია 20 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა. სამშენებლო ბანაკი 2-ის ტერიტორიაზე დაგეგმილია ორი სალექარის მოწყობა: №1 სალექარი (3.8მx0.35მx0.4მ) მოემსახურება ავტოსადგომს, სადაც ასევე განთავსდება ავტოსამრეცხაო და ნავთობდამჭერი. ავტომობილების რეცხვისას და მოცემულ არეალში მოსული ნალექები შეიკრიბება ჯერ ნავდობდამჭერ ნაგებობაში (1.8მx0.6მx1მ) ხოლო შემდგომ გაივლის №1 სალექარს; №2 ორკამერიან სალექარში (1.5მx2.5მx1.2მ) შეიკრიბება და გაიწმინდება ბანაკის ტერიტორიაზე (ავტოსადგომის გარდა) მოსული ატმოსფერული ნალექები. ორივე სალექარიდან გამოსული გაწმენდილი წყალი შეიკრიბება ბეტონის არხის მეშვეობით და ჩაშვებული იქნება მდ. ხუმფრერში, რომლის GPS კოორდინატია: X-286524.96; Y-4765273.24. 268,17 მ³/წელ საპროექტო სალექარების გაწმენდის ეფექტურობა შეწონილი ნაწილაკებისთვის შეადგენს 80-85%-ს, ხოლო ნავთობპროდუქტებისათვის 95%-ს.

გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია მიწისქვეშა წყლების ხარისხსა და ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება. მდინარის დაბინძურება ძირითადად მოსალოდნელია მდინარის აქტიურ კალაპოტში ან კალაპოტის სიახლოვეს მუშაობის დროს (განსაკუთრებით სათავე კვანძის შემადგენელი ნაგებობების - კაშხალი, თევზსავალი მშენებლობისას). ანგარიშის თანახმად, მშენებლობა განხორციელდება მდინარის წყალმცირების პერიოდში. წყლის ხარისხზე ზემოქმედების შესამცირებლად მოხდება წყლის დროებითი გადაგდება სამშენებლო უბნებიდან, სამუშაოს დაწყებამდე მოეწყობა კოფერდამები და დროებითი სადერივაციო არხები. ჰესის ოპერირების პროცესში მდ. ხუმფრერზე სათავე ნაგებობიდან მდ. ენგურის შესართავამდე მოხდება წყლის ხარჯის შემცირება. აღნიშნულის შედეგად შესაძლოა შეიზღუდოს მიწისქვეშა წყლების იმ ჰორიზონტების კვების არეები, რომლებიც ჰიდრავლიკურ კავშირში იმყოფებიან მდინარესთან. თუმცა, ზემოქმედებას ნაწილობრივ შეამცირებს კაშხლის ქვედა ბიეფში გასატარებელი სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯი. ოპერირების პერიოდში გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები მშენებლობის ეტაპთან შედარებით, გაცილებით დაბალია. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მდინარის საპროექტო მონაკვეთში წყლის დონის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს ხეობისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ სახეობაზე ზემოქმედება (საარსებო გარემოს შეზღუდვა). სათავე ნაგებობების არსებობა ნაწილობრივ შეაფერხებს თევზების ქვემოდან ზედა ბიეფში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, ექსპლუატაციის ეტაპზე არსებობს თევზის წყალმიმღებში მოხვედრის და დაზიანების (დაღუპვის) რისკი. ზემოქმედების პრევენციისა და შემცირების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის: დაწესდება მდინარის ჰიდროლოგიური პარამეტრების სისტემატური აღრიცხვა. დამყარდება კონტროლი ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე და უზრუნველყოფილ იქნება მონაცემების სისტემატური აღრიცხვა; მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის ტოლი ან მასზე ნაკლები ხარჯის მოდინების შემთხვევაში მოხდება ჰესის მუშაობის შეჩერება და მოდინებული წყლის ხარჯი სრულად გატარდება სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში; უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით; სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალა გატანილი იქნება ტერიტორიიდან; საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაბინძურებული უბნის ლოკალიზაცია/გაწმენდა და სხვა.

გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებები და აღნიშნულია, რომ ამგვარ ზემოქმედებას ადგილი ექნება როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. საპროექტო ხუმფრერი 1 და 2 ჰესების დერეფანში, ადგილობრივი მოსახლეობა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, დერეფანი არ ხვდება ადგილობრივი მოსახლეობის ვიზუალური თვალთახედვის არეალში, ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად შესამჩნევი იქნება ხუმფრერი 2 ჰესის შენობა. მშენებლობის პერიოდში ცენტრალური საავტომობილო გზიდან შესამჩნევი იქნება სამშენებლო ბანაკი 1, რომელიც მოეწყობა მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე. მშენებლობის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ძირითადად მოსამზადებელ და სამშენებლო სამუშაოებთან, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების არსებობის გამო. ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის გათვალისწინებულია მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევა ადგილობრივ ბუნებრივ გარემოსთან; დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების განთავსებისთვის შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველი ადგილების შერჩევა; მშენებლობის დასრულების შემდგომ სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება; ადგილობრივი სახეობის ხე-მცენარეების დარგვა-გახარება და სხვა.

საპროექტო ჰესის ტერიტორია არ ხვდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია, ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი სვანეთი 2 (GE0000045) დაცილებულია 1.9 კმ-ით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად,

აღნიშნული მანძილის გათვალისწინებით პირდაპირი ან ირიბი ხასიათის ნეგატიური ზემოქმედება დაცულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება. ჰესების კასკადის საპროექტო ტერიტორიებიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ხუმფრერი 2 ჰესის შენობის სიახლოვეს დაგეგმილ სამშენებლო ბანაკი 1-ის ტერიტორიიდან 185 მ-ში. სადაც გათვალისწინებულია ბეტონის კვანძის მოწყობა. პროექტის ფარგლებში გვირაბის მშენებლობისას ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე მოსალოდნელია ხუმფრერი 2 ჰესის სატრანსპორტო-სადერივაციო გვირაბის გამოსასვლელი პორტალის მშენებლობისას. მოცემული არეალიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, სადაც მიედინება მდ. ენგური და წარმოდგენილია ხშირი ხე-მცენარეული საფარი. აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას ხმაურის და ვიბრაციის შესამცირებლად მოხდება მცირე მუხტიანი აფეთქებების გამოყენება; აფეთქების სამუშაოების წარმოება მოხდება მხოლოდ დღის საათებში და სხვა.

ანგარიშის თანახმად ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები (მითუმეტეს ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა არ მოხდება და მშენებლობისას წარმოქმნილი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი, სამუშაოების შედეგად უახლოეს მაცხოვრებელზე უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, ამასთან, ხმაურის დონეს გარკვეულად შეამცირებს რელიეფური პირობები, სიმაღლეთა სხვაობა და არსებული მწვანე საფარი, რომელიც შეასრულებს ბუნებრივ ბარიერის როლს. ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ჰესის შენობაში დამონტაჟებული ტურბინები, რომლებიც იქნება დახურულ კორპუსში (გარსაცმში), ასევე შიდა ინტერიერი მოწყობილი იქნება ხმაურსაიზოლაციო მასალებით. ანგარიშის თანახმად ჰესის შენობასთან ხმაურის დონე იქნება დაახლოებით 70 დბა. ჰესის შენობებიდან უახლოესი მოსახლემდე დაშორების მანძილის (550 მ - ხუმფრერი 2 ჰესის შენობა), არსებული ხე-მცენარეულ საფარის და რელიეფური პირობებიდან გამომდინარე მოსახლეობაზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ანგარიშის თანახმად უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათობის მიხედვით. კონტეინერებში განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე გატანილ იქნება შესაბამის ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენების დასაწყობება მოხდება სპეციალურ სასაწყობო სათავსში, რომელიც შემდგომი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც აღწერილია პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, რაოდენობები და მართვის საკითხები.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ხუმფრერი 1 და 2 ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელზეც სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო, პოლიმეტალები) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით იგეგმება სააუქციონე ობიექტის მომზადება. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ

ზონაში. ასევე გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ გამოვლენილა. ხოლო, მიწის სამუშაოების შესრულების დროს არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის შემთხვევაში დაცული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

დოკუმენტაციაში ასახულია სამშენებლო ბანაკების ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. სამშენებლო ბანაკი 1 და ბანაკი 2-ის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი, ცემენტის მტვერი და ნაჯერი ნახშირწყალბადები ($C_{12}-C_{19}$). გაზნების ანგარიში შესრულებულია ბანაკების სრული სამუშაო მოცულობის და დატვირთვის პირობებში, რომლის მიხედვითაც ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს როგორც ობიექტებიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (პირდაპირი მანძილი ობიექტიდან 185 მ). ამდენად სამშენებლო ბანაკების ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 24 აპრილს, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიზის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ხუმპრერის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა ადგილობრივების დასაქმებას, მშენებლობის ვადებს, აფეთქებების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებას, სოციალურ საკითხებს და სხვა. დასმულ შეკითხვებზე პასუხი გაეცა შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალური კომპანიის“ და შპს „გარემოსდაცვითი შეფასების ჯგუფის“ წარმომადგენლების მიერ. საჯარო განხილვაზე გამოთქმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროს სხვადასხვა მიმართულების შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების,

ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის და II დანართის 9.8 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „ხუმპრერი ჰესის“ მდ. ხუმფრერზე, 6,76 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 1“ და 25,94 მგვტ. სიმძლავრის „ხუმფრერი 2“ ჰესების კასკადის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. შპს „ხუმპრერი ჰესმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის (დანართები) და დამატებითი დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების, თავიდან აცილების და საკომპენსაციო ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
3. შპს „ხუმპრერი ჰესი“ ვალდებულია:
 - ა) უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
 - ბ) უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტებით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
 - გ) მშენებლობის ეტაპზე ყოველკვარტალურად უზრუნველყოს გაწმენდილი ჩამდინარე წყლის ხარისხის მონიტორინგის ჩატარება შეწონილ ნაწილაკებსა და ნავთობპროდუქტებზე;
 - დ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის მუდმივად გატარება. თუ მონიტორინგის ფარგლებში დაფიქსირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ექსპლუატაცია განახორციელოს სააგენტოს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად;
 - ე) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ბანაკი 1-ის ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლესთან, ხოლო ბანაკი 2-ის ტერიტორიიდან 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში ასახული უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) კვარტალში ერთხელ, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში და ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად). მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
 - ვ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესებით დამაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
 - ზ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, რომელშიც ასახული იქნება ბურღვა-აფეთქებით

გამოწვეული ზემოქმედების შედეგად ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბურღვა-აფეთქებით გამოწვეული ზემოქმედებისას ცხოველთა მიგრაციის და ქცევის ცვლილებებზე. გეგმაში ასევე აისახოს ექსპლუატაციის ეტაპისთვის შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებზე დაკვირვების და სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები, ამასთან მონიტორინგის გეგმაში საჭიროა აისახოს, სამუშაოების დროს მცენარეული საფარის დესტრუქციის შედეგად, სარეველას და არაადგილობრივი (მათ შორის ინვაზიური) მცენარეების, ასევე ფიტო და ენტო მავნებლების (პარაზიტი სოკოები, მწერები) შესაძლო გავრცელებაზე დაკვირვების საკითხი. ხოლო მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს და განხორციელდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

თ) ექსპლუატაციაში შესვლამდე არა უგვიანეს 1 წლით ადრე უზრუნველყოს მდინარის დათევზიანების საკითხების (დასათევზიანებელი ინდივიდების სახეობა, ჩასასმელი მასალის სტადია, რაოდენობა და მათი მიღების წყარო, დათევზიანების ვადები/პერიოდი და ხანგრძლივობა და ა.შ.) სააგენტოსთან შეთანხმება. ექსპლუატაციის ეტაპზე დათევზიანების მიმდინარეობაზე უზრუნველყოს მონიტორინგის განხორციელება. შემდგომი იქთიოლოგიური კვლევებისას გამოყენებული იქნეს ალტერნატიული თევზსაჭერი იარაღები (ელექტროშოკერი ან სხვა);

ი) გამწვანებითი ღონისძიების განხორციელებისას უპირატესობა მიანიჭოს საპროექტო არეალში ბუნებრივად გავრცელებულ მცენარეთა სახეობებს;

კ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს N1 სამშენებლო ბანაკის დეტალური პროექტის (shp ფაილბთან ერთად) და ბანაკზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N440 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხის შესაბამისი დასაბუთებით სააგენტოსთან შეთანხმება, ან/და სამშენებლო ბანაკის ალტერნატიული ადგილმდებარეობის შერჩევა და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

ლ) უზრუნველყოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელებული თვითმონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა;

მ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმება;

ნ) უზრუნველყოს სამუშაოების განხორციელება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ო) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მშენებლობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმება;

პ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;

ჟ) „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს საქმიანობის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;

რ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ს) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ტ) მშენებლობის დაწყებისა და დასრულების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

უ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ხუმპრერი ჰესს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ხუმპრერი ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/357-21-4-202507101649>

